ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

სხდომის ოქმი

N 12

19.09.2022 , წელი
16:00 საათი

ქალაქი თბილისი, თავისუფლების მოედანი N2
დიმიტრი ყიფიანის სახელობის დარბაზი

მიმდინარე წლის 19 სექტემბერს, 16:00 საათზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ორი კომისიის გაერთიანებული სხდომა გაიმართა.

სხდომას ესწრებოდნენ ამავე საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები: **გიორგი ჩაკვეტაძე** (კომისიის თავმჯდომარე), **გივი ჩხარტიშვილი** (კომისიის წევრი), **ავთანდილ ცინცაძე** (კომისიის წევრი), **ვლადიმერ ბოჟაძე** (კომისიის წევრი) და **ნინო კვიტაიშვილი** (კომისიის წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი **ირაკლი გვილავა** და აპარატის თანამშრომლები.

სხდომის უფლებამოსილება განისაზღვრა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 5 (ხუთი) წევრის დასწრებით.

სხდომის დღის წესრიგი:

1. **ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაციის მოსმენა,**
   მომხსენებელი - ირაკლი გვილავა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი.

სხდომა წარიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს **განათლებისა და კულტურის** კომისიასთან ერთად.

გაერთიანებულ სხდომას უძღვებოდა სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **გიორგი ჩაკვეტაძე.**

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრების მიერ მოწონებულ იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია, კომისიას კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა წარუდგინა.

ირაკლი გვილავა - მოგესალმებით, ყურადღებას გავამახვილებ იმ პროექტებთან დაკავშირებით, რომელთა შესახებაც ინფორმაცია ვფიქრობ მნიშვნელოვანია რიგი გარემოებების გათვალისწინებით. პანდემიის შემდგომ არ იყო მარტივი აქტივობების და სხვადასხვა მასობრივი ხასიათის ღონისძიებებისთვის ძველი ტემპის დაბრუნება, მაგრამ ეტაპობრივად სხვადასხვა ქმედითი ნაბიჯებით, ახალი პროგრამების დანერგვით გააქტიურდა პროცესი, განახლდა საფესტივალო ღონისძიებების მხარდაჭერაც, რის ფარგლებშიც დაფინანსდა 35-ფესტივალი და 25-თეატრალური მიმართულების პროექტი. აღსანიშნავია UNESCO-ს პროექტი ,,წიგნის დედაქალაქი" რომელსაც თბილისმა უმასპინძლა. ინკლუზიური ხელოვნების მიმართულებითაც რამდენიმე საპილოტე პროექტი განვახორციელეთ. ის პროგრამები, რაც მოქმედებდა მაღალი აკადემიური მოსწრების მოსწავლეთა დაფინანსებაზე უწყვეტად მიმდინარეობს. სასწავლო პროცესი, რომელიც ონლაინ სივრცეში მიმდინარეობდა დაუბრუნდა აუდიტორიებს და უშუალო შეხვედრების რეჟიმში იმართება. ინფრასტრუქტურის მიმართულებით ჩატარდა სახელოვნებო სივრცეების რეაბილიტაცია, ასეთია ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა გალერეა, რომლის რეაბილიტაცია დასრულდა და მიმდინარეობს ავეჯის შეძენა. ამ ეტაპზე ოთხ სახელოვნებო სკოლას უტარდება რეაბილიტაცია, რაც შეეხება მუზეუმების ნაწილს საკრებულოს ინიციატივით და გადაწყვეტილებით მოხდა თოჯინების მუზეუმისთვის საკრებულოს შენობაში სივრცის გამოყოფა.

სპორტის მიმართულებით ძალიან მნიშვნელოვანია მულტიფუნქციური ცენტრების მოწყობის საკითხი, რომელიც ყველაზე დიდი ინფრასტრუქტურული პროექტია რაც მოიცავს სპორტულ, კულტურულ და საგანმანათლებლო ელემენტებს. პანდემიის შემდგომ განახლდა ვარკეთილის მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა, საკმაოდ მაღალი ტემპით მიმდინარეობს სამუშაოები, რაც შეეხება დიდი დიღმის მულტიფუნქციურ ცენტს, მოგეხსენებათ, რომ საკრებულოს თანხმობით დავამტკიცეთ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც ორგანიზებას უწევს ცენტრში მიმდინარე პროცესს, ცენტრში მოქმედი პროგრამები იქნება მეტად მრავალმხრივი, საინტერესო, სოციალური ელემენტებით და სხვა სიახლეებით. მწვრთნელთა მხარდაჭერის პროგრამის მიმართულებით, საკრებულოს გადაწყვეტილებით აგვისტოს თვის ანაზღაურება წელს პირველად გაიცა. ახალგაზრდების სოციალური მეწარმეობის მიმართულებით დაფინანსდა 17 პროექტი, რის შესახებაც მზადდება ვიდეო რგოლები, ხოლო ახალი პროგრამის ,,სპორტი უფროსი თაობისთვის" ფარგლებში დაიწყო რეგისტრაცია, მოსახლეობის მხრიდან საკმაოდ დიდი მოთხოვნა და დაინტერესებაა. საანგარიშო პერიოდში სპორტული ღონისძიებების ფარგლებში დაფინანსდა 134 პროექტი, ხოლო 26 სპორტულ ფედერაციას გადაეცა სპორტული ეკიპირება და ინვენტარი. მოეწყო მზიურის სპორტული მოედანი FIFA-ს სტანდარტების შესაბამისად, ასევე მიმდინარეობს სპორტული მოედნის მშენებლობა ვარკეთილის ზემო პლატოზე და ორ მისამართზე სკეიტ პარკების მოწყობის სამუშაოები, ვარკეთილში უკვე დასასრულს უახლოვდება ხოლო გლდანში უახლოეს პერიოდში დაიწყება. როგორც ზემოთ მოგახსენეთ უკვე თითქმის დასრულდა დიდი დიღმის მულტიფუნქციური ცენტრის მშენებლობა ამ ეტაპზე

მიმდინარეობს შიდა გზების მოწყობის და სახვადასხვა ტექნიკური სამუშაოები, ვარკეთილის ცენტრის მშენებლობა კი აქტიურ ფაზაშია. საანგარიშო პერიოდში დაფინასდა ასათიანის ქუჩაზე სპორტული დარბაზის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაცია და დიდ ლილოში მცირე ზომის მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოები. ასევე გათვალისწინებულია გლდანი-ნაძალადევის სპორტული ცენტრის გლდანის აუზის რეაბილიტაციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო სამუშაოები. 2022 წელს პროგრამის ,,ისწავლე და დასაქმდის" ფარგლებში 43 პროფესიული მიმართულებით ჩაირიცხა 700 ახალგაზრდა. სწავლის საფასური დაუფინანსდა სოციალურად დაუცველ 1294 სტუდენტს, 16 შშმ სტატუსის და 60 მრავალშვილიანი ოჯახის წევრ სტუდენტს. ასევე 564 წარჩინებულ მაგისტრანტზე გაიცა ფინანსური დახმარება. ახალგაზრდული ღონისძიებების ხელშეწყობის კუთხით - საზაფხულო ახალგაზრდული პროგრამებში ჩართული იყო 5 000-მდე ახალგაზრდა. აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წელს მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლემ უკვე ჩაატარა 127 ღონისძიება.

სხდომა კითხვა - პასუხის რეჟიმში წარიმართა, მომხსენებელმა დასმულ კითხვებს ამომწურავი პასუხი გასცა.

აზრი გამოთქვეს:

გიორგი ჩაკვეტაძე - მოგესალმებით, საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელმა ყურადღება გაამახვილა მნიშვნელოვან პროექტებზე, რომელიც აქტიურად მიმდინარეობს. ყველა პროგრამა, რასაც მუნიციპალიტეტი ახორციელებს მნიშვნელოვანი და მეტად საჭიროა დედაქალაქისთვის. ახალი პროგრამები საყურადღებოა, სამომავლოდ მოხდება მათი მასშტაბების გაზრდა, რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებს ვფიქრობთ, რომ წლის ბოლომდე მათი უმრავლესობა დასრულდება, სამუშაოები უწყვეტად მიმდინარეობს.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიამ ცნობად მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის მიერ, 2022 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის და მიმდინარე პროექტების შესახებ ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: გ. ჩაკვეტაძე გიორგი ჩაკვეტაძე